

ლიტერატურათმცოდნება

ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულაგა

**გამგასიური სიგრცის ძრისფოლობიური მნიშვნელობა
„მოძრაობა ძართლისამ“ მიზანით**

მოქლე შინაარსი

სტატიაში განხილულია „მოქცევად ქართლისამ“ ტექსტში დამოწმებული ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, გეოგრაფიული სივრცე, რომელსაც საერთო კავკასიური ინტერესების კალობაზე, მხატვრული და ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის ადგილები, სადაც წმ. ნინომ ფეხი დადგა და სამონასტრე ადგილები შეარჩია, მხოლოდ გეოგრაფიული პუნქტი არაა, არამედ ის სულიერებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელსაც ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის მისია დაეკისრა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევის საქმეში. თხზულებამ როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურას, მათ შორის კავკასიური არეალის კულტურულ სამყაროს, შესძინა როგორც რეგიონული, ასევე მსოფლიო დირექტულების კულტურული მონაპოვრები. უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოს და მის კულტურას ყოველთვის დომინანტური ადგილი ეკავა კავკასიურ სივრცეში, კავკასიელთა საურთიერთობო ენაც XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე ქართული ენა იყო. საქართველოს გაქრისტიანების პროცესი სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებამდე თითქმის სამი საუკუნე გრძელდებოდა. საქართველო იყო პირველი ქვეყანა კავკასიურ არეალში, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რის გამოც კავკასიურ სივრცეში ქრისტიანობის მესვეურობა ხვდა წილად. ყოველივე ამის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩინია „მოქცევად ქართლისამ“ ტექსტზე პოლიტიკურ-სოციალური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული და ენობრივი თვალსაზრისით დაკვირვება, რათა უკეთ განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, ქრისტიანული რელიგიის ადგილი კავკასიურ სივრცეში. ამავე დროს, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ „კავკასია“,

როგორც რეგიონული სივრცის აღმნიშვნელი ტერმინი-სახელ-წოდება, ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხოლოდ „მოქცევად ქართლისაას“ ტექსტში გვხვდება. „მოქცევად ქართლისაას“ გეოგრაფიული სივრცე მოწმობს, რომ საქართველოს ყოველთვის ეჭირა კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრის ადგილი, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის განაპირა მხარის კულტურული ძეგლისა.

საკვანძო სიტყვები: ჰაგიოგრაფია, „მოქცევად ქართლისაა“, კავკასიის გეოგრაფიული არეალი და კულტურული სივრცე.

Nana Gonjilashvili, Nestan Sulava

CAUCASIAN AREA ACCORDING “CONVERSION OF KARTLI”

Abstract

This article dedicated to the geographical points, areas from “Conversion of Kartli” having the special meaning like fiction, whole Caucasian interests, because this places where Saint Nino travelled and chose places for the Churches not only geographical areas, but they are centers having spiritual, cultural and educational meaning just to show the intellectual and spiritual meaning of Georgian nation. All those places played main role in the great moment of Conversion of Kartli. This story fulfils the meaning not only Georgian, but also whole world and between them Caucasian cultural life. From the ancient past, Georgia and its cultural playing main role in Caucasian area. The language of communication between Caucasian was Georgian. The process of Conversion of Georgia, until the end of this was running whole three centuries. Georgia was the first country in Caucasia which claimed Christianity as state religion and for this Georgia become the Christian leader country in Caucasia. On the base of all of this we think the research work dedicated to the “Conversion of Kartli” has its unique meaning from the point of view of socio-political, religion, cultural-literary and linguistic, just clearly define the role of Georgian state, religion and culture in the area of Caucasia. The term “Caucasia” is mentioned only in “Conversion of Kartli”, as a term of regional meaning. Geographical area of “Conversion of Kartli” assume that Georgia was playing the role of Caucasian center as a separate country of Christian East.

Key Words: Hagiography, “Conversion of Kartli”, Geographical area of Caucasia and cultural sphere.

შესავალი. ქართული ლიტერატურის კვლევისას ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული სივრცის, მასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა და მათი მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით საგანგებო კვლევას მოითხოვს ქართული პაგიოგრაფიული თხზულებების გეოგრაფიული სივრცე, რელიგიური, კულტურული, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური და ენობრივი ფენომენი, რაც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ როლს წარმოაჩენს კავკასიის რეგიონულ სივრცეში. ქართული პაგიოგრაფიის პერსონაჟები გადასერავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის, საკუთრივ კავკასიურ სივრცეს, რის საფუძვლზეც განისაზღვრება ქართველ წმინდანთა ადგილი საერთაშორისო მასშტაბით.

კვლევის მიზანი. ამ კუთხით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევა არ წარმართულა და პაგიოგრაფიულ თხზულებათა გეოგრაფიული სივრცე კავკასიოლოგიური თვალსაზრისით არ შესწავლილა. ჩვენს სტატიაში განხილულია „მოქცევად ქართლისამ“ ტექსტი საერთოკავკასიური ინტერესების კვალობაზე, რადგან ის ადგილები, სადაც წმ. ნინომ ფეხი დაღვა და სამონასტრე ადგილები შეარჩია, მხოლოდ გეოგრაფიული პუნქტი არაა, არამედ ის სულიერებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელმაც ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი წარმოაჩინა, უდიდესი კულტურული მონაპოვრები შესძინა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურას, მათ შორის კავკასიური არქალის კულტურულ სამყაროს, რადგან საქართველოს და მის კულტურას, უძველესი დროიდან მოყოლებული, ყოველთვის დომინანტური ადგილი ეკავა კავკასიურ სივრცეში, კავკასიელთა საურთიერთობო ენაც XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე ქართული ენა იყო. სწორედ ამ მიმართულებით, პოლიტიკურ-სოციალური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული და ენობრივი თვალსაზრისით დაკვირვება მიგვაჩნია საჭიროდ, რათა უპეტ განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, ქრისტიანული რელიგიის ადგილი კავკასიურ სივრცეში. ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ „კავკასია“, როგორც რეგიონული სივრცის აღ-

მნიშვნელი ტერმინი-სახელწოდება, ქართულ პაგიოგრაფიაში მხოლოდ „მოქცევად ქართლისადას“ ტექსტში გვხვდება.

მეთოდი. ნაშრომში ვიყენებთ კვლევის მულტიდისციპლინურ მეთოდებს, სახელდობრ: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურსა და პერმენევტიკულს, რათა განვსაზღვროთ კავკასიური არეალის მნიშვნელობა რეგიონის გეოპოლიტიკურ და მსოფლიოს კულტურულ სივრცეში და, შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ადგილი კავკასიის სივრცეში.

მსჯელობა. თხზულებაში „მოქცევად ქართლისად“, როგორც ცნობილია, მთელი სისრულითაა წარმოჩენილი შუასაუკუნებრივი მწერლობის სინკრეტიზმი. მასში ჰაგიოგრაფიულ თხრობასთან ერთად საეკლესიო ისტორიაა წარმოდგენილი, აქევათავშენილი სახელმწიფოს ისტორიაც, ბიზანტიური „ბასილოგრაფის“ („მეფეთა ცხოვრების“) მსგავსი ჟანრი, ეპისტოლურები, ქადაგებები და სხვ. ამასთანავე ქართველთა მოქცევის შესახებ თხრობას და წმ. ნინოს პიროვნებას არაერთი ისეთი ეპიზოდი და პასაურ უკავშირდება, რომლებიც კავკასიის და მასში მცხოვრები ერებისა თუ ტომების ისტორიას ასახავს და, შესაბამისად, ვითარცა უძველესი წყარო, დიდად მნიშვნელოვანი და საუკადღებოა კავკასიის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევართა და, ზოგადად, მკითხველთა ფართო წრისათვის.

„მოქცევად ქართლისადს“ ქრონიკებში ვხვდებით ცნობებს პონთა/პუნთა შესახებ, რომლებიც ძირითადად საქართველოს ისტორიის ამბებს უკავშირდება: „მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, პონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანად ხარჯითა. და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი რომელ ხარჯითა აქუნდა, პრქან მას ხერკი. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისად, და დალეწნა სამნი ესე ქალაქი და ციხენი, და პონთა დასცა მახვლი“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: 81). როგორც თხრობიდან ირგვევა, საბრძოლოდ განწყობილი პონები, რომლებიც ქალდეველებისგან იყვნენ განდევნილნი, შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ბუნ-თურქთაგან ხარკი მოითხოვეს, თავად კი ზანავში დაბანაგდნენ. გარკვეული დროის შემდეგ მეფე ალექსანდრემ დაანგრია სამი ქალაქი და ციხეები, პონები დაამარცხა. ამ

ეპიზოდში მოხმობილი ცნობები რამდენად შეესაბამება სინა-
მდვილეს და რამდენადაა ჭეშმარიტების შემცველი აღნიშნული
ცნობები, ჩვენი მსჯელობის საგნად არ მიგვაჩნია. მითუმეტეს,
ამ საკითხის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურაა
შექმნილი.

„მოქცევად ქართლისადში“ არაერთი ცნობაა დაცული, რო-
მელიც სომხეთს, მის ისტორიასა და სივრცულ გარემოს უკავ-
შიოდება. ერთ-ერთი ცნობა გვაუწყებს, რომ მეფე თრდატის
დროს მთავარეპისკოპოსი იყო იობი, შატბერდული რედაქციით
- სომქეთა კათალიკოზის დიაკონი. ჭელიშვირი რედაქცია ამ
უკანასნელ ცნობას არ ინახავს. აღნიშნულია, რომ რევის
შემდგომ მეფობდა ბაჟური, ხოლო მომდევნო მეფე იყო მისი
ძმა თრდატი: „და დაჯდა მეფედ ძმად მისი თრდატ და მთავარ
ებისკოპოსი იყო ნერსე სომქეთა კათალიკოზისა დიაკონი იობ“
(„მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 91).

სომხეთი გვხვდება თრდატის მომდევნო მეფის, ვარაზ-ბა-
კურის, მეფობის შესახებ თხრობის ეპიზოდში, როცა სპარ-
სელებმა ქართლი, სიგნიეთი და გუასპურაგანი მოხარკედ
გახადეს: „და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზპანი შემოვი-
დეს სივნიეთა და იგი წიდარდ უკუჯდა. და მთავარ ებისკო-
პოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ
სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქიდ, ციხედ, და
ქართლი მისსა ხარქსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და
გუასპურაგანი“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 92).

აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტები კვლავ იხსენიება ვა-
რაზ-ბაკურის შემდგომ პერიოდზე თხრობის დროს, როდესაც ქა-
რთლში მეფობა დასრულდა: „მაშინ მცხეთად ათხელდებოდა და
ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალად გან-
დიდნებოდა. სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივ-
ნიეთს და გუასპურაგანს. და კათალიკოზი იყო სამოელ და ნე-
ლად-რე შეკრბა ქართლი“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 95).

ამ პერიოდთან დაკავშირებით ჭელიშვირი რედაქცია უფრო
მეტ ცნობებს იძლევა, რომლებშიც კაგასიის რეგიონის
არაერთი ქვეყანაა დასახელებული და მათთან დაკავშირებული
ამბებია გადმოცემული: „და ვითარცა დაქსრულა მეფობად ქარ-
თლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი და-
იპყრეს. ხოლო ქართლი უშეტესად დაიყრეს. და კავკასიანთა
შევიდეს და კარნი ოვესეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი

ოვსეთვე და ორნი დგალეთს და ერთი პარჭუანს დურძუკეთი-სასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს. და სხუად ვინ-მე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჰევსა დამორჩილებად დახდევს მისი. და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიმჯუნეს სპარსნი. და სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ-ყვნეს. ესე აღწერილი გამოკრებულად არს“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ჭ. 94-95). შატბერდულ რედაქციაში ეს ეპიზოდი არ შემონახულა.

სივნიერი და გუასპურაგანი გვხვდება იმ ეპიზოდშიც, რო-დესაც წმ. ნინო სოჯი დედოფალს წერილს ატანს მირიან მე-ფესთან. წერილში ნათქვამია, რომ სოჯი დედოფალმა საღვთო შური აიღო და კერპთა დაქცევა და თავისი საერისთავოს მოქ-ცევა განიხრახა: „და წარავლინა მსწრაფლ სივნიერად ძმისა და ასულისა და გუასპურაგანად სტერეონისსა. და მოიყვანნა იგინი და ნათელს-იდეს ყოველთა ბოდს შინა და იცნეს ღმერ-თო...“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ჭ. 101). შატბერდულ რე-დაქციაში ეს ეპიზოდი არ გვხვდება.

პ. კეკელიძე აღნიშნავს: „...ნინო გამოყვანილია თხზულე-ბაში მთელი აღმოსავლური ამიერკავკასიის მისიონერად; ქარ-თლ-კახეთისა და მთეულთა მოქცევის შემდეგ ის, მის მიერ მოქცეული სუჯი დედოფლის მეშვეობით, მონათლავს ბოდებში აგრეთვე (ჭელიშური გარიანტით) მთავრებს ისეთი სომხური პროვინციებისას, როგორიცაა სივნიერი და გუასპურაგანი“ (კე-კელიძე, 1956: 77). პ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული ცნო-ბები „პირდაპირ პოლემიკას აწარმოებს“ სომხურ ტრადიციას-თან, კერძოდ, აგზორს სურს, სომქეთაგან დამოუკიდებელი მი-სიონერი წამოაყენოს, „შეტევაზეც კი გადადის და სომქეთა იარაღს მათ წინააღმდეგ მიმართავს: მას ნინო ამიერკავკასიის მთელი აღმოსავლეთის ნაწილის, კერძოდ, სომხეთის, განმა-ნათლებლის როლში გამოჰყავს. ამის მჩქვნებელია არა მარ-ტო ის გარემოება, რომ... ნინო ნათლავს ე. წ. რიფსიმიანთა სა-ზოგადოებას და სივნიერსა და გუასპურაგანს (ჭელიშური გა-რიანტით), არამედ ისიც, რომ მისი სამისიონერო ასპარეზი - „ქუეყანად ჩრდილომასად“ (744) არის „ქუეყანად კავკასიათად“ (759) ან, როგორც დვინელ სომქე მიაფორს ათქმევინებს ავტო-რი, „ქუეყანად სომხითისად და მთიულეთისად (744, 758)“ (კეკე-ლიძე, 1956: 77-78).

ტექსტის მომდევნო ეპიზოდებში გუასპურაგანის მთავარი ასტირონი კიდევ ორჯერ იხსენიება, კერძოდ, როდესაც სოჯი და მთავარი მივიღნენ მცხეთაში, მოიხილეს ყოველი და ადიდებდნენ დმერთს, „მაშინ მოუწოდა აბიათარს ასტირონ მთავარმან გუასპურაგნელმან ფარულად“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 102) და პირთხა, თუ რატომ მიიღო ქრისტიანობა (ეს ეპიზოდი არაა შატბერდულ რედაქციაში). ამის შემდგომ აბიათარ უამბობს იქ მყოფ თავისი გაქრისტიანების ამბავს და „დაუკრდა ფრიად მთავარსა ასტირონს სიტყუად იგი აბიათარ მლდელისად და ადიდებდა დმერთსა...“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ჸ. 104). ეს მონაკვეთი შატბერდულ რედაქციაში არ გვხვდება.

„მოქცევად ქართლისადს“ ტექსტში კიდევ ორჯერაა სივნიერი ნახსენები, მხოლოდ - პიროვნების წარმომავლობის აღსანიშნად, კერძოდ, აღსასრულის წინ წმ. ნინოს სთხოვები მოუთხოოს თავისი ვინაობის, საქმიანობის და, ზოგადად, ქრისტიანობის შესახებ. მთხოვნელთა შორის იხსენება პეროუავრი სივნიელი: „ეტყოდეს დედოფალი სალომე უქარმელი და პეროუავრი სივნიელი“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 105); მეორეგან მაშინ, როდესაც წმ. ნინო იწყებს თხრობას: „მაშინ მოხოლო-იხუნეს საწერელი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროუავრი“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 106). აქ ჭლიშური არ ასახელებს კონკრეტულ პიროვნებებს.

ზემომოხმობილ ციტატებში რამდენჯერმე იხსენიება სალომე უქარმელი, სომეხთა მეფე თრდატის ასული, რომელიც მირიანის ძის, რევის, მეუღლეა. ბოდებში მყოფ დასხულებულ წმ. ნინოსთან სანახავად მიდიან „...უქარმით ქალაქით რევ, მც მეფისად, და სალომე, ცოლი მისი, და ასული მისი, და ზედა-ადგეს მოურნებ“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 89). როგორც ირკვევა, სწორედ სალომე უქარმელია ერთ-ერთი დედა-თაგანი, ვინც წმ. ნინოს აღსასრულის წინ სთხოვს მოუთხოოს თავისი ცხოვრება. სალომე უქარმელი იწერს წმ. ნინოს ნაამბობს და, მართლაც, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ზოგიერთი თავუბის სათაურებში ავტორად იგი სახელდება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ სომხური პროვინციები და მათი წარმომადგენლები მჭიდროდ იყვნენ ქართლთან დაკავშირებული, ზოგი მთავარი ქართლში ინათლება. ეს იმიტომ, რომ ქართლი და სომხეთი ერთიან პოლიტიკურ და კულტურ-

რულ სივრცედ გაიაზრება, სადაც ორი განსხვავებული სახელ-მწიფო თანაარსებობს, მათ შორის ურთიერთობა ნორმალიზებულია.

წმ. ნინოს პიროვნებასთანაა დაკავშირებული სომეხი, კერძოდ დვინელი, მიაფორი/ნიაფორი (დედათა მონასტრის ზედამხედველი), რომელსაც, წმ. ნინოს თქმით, ძველი და ახალი აღთქმის ცოდნით იერუსალიმში ვერავინ შეედრებოდა. ტექსტიდან ირკვევა, რომ მიაფორი წმ. ნინოს ქრისტეს შესახებ მოძღვრავდა, ესაუბრებოდა უფლის სამოსზე, ჯვარზე, ტილოსა და სუდარაზე. წმ. ნინო ამბობს: „ხოლო მე ვჰმსახურებდ მიაფორსა ხომეხსა, დვინელსა, ორ წელ“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 110). მას წმ. ნინო ეკითხებოდა ქრისტეს წამების, ჯვარცმის, დაფვლის და ადდგომის შესახებ, უფლის სამოსზე, ჯუარზე, ტილოსა და სუდარაზე, „რამეთუ არავინ ყოფილ იყო, არცა იყო შორის იერუსალიმშა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულისა გზასა ძუელსა და ახალსა ყოველსავე“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 110). სწორედ სომეხი ნიაფორისგან შეიტყო წმ. ნინომ, თუ ვის ხვდა წილად ქრისტეს კვართი („და წილით ჰეყდა ჩრდილოთა, მცხეთელთა, კუართი იგი უფლისა იესუსი...“ – „მოქცევად ქართლისად“ 1963: შ. 112) და სად ინახებოდა უფლის სამოსი - („ჩრდილომასა ქუეყანად სომხითისა მთეულ არს, საწარმართო ქუეყანად, საკელმწიფო ბერძენთა და უჟიკთად“ - „მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 113). ამ სიტყვებით ქართლის გეოპოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაა განსაზღვრული, რადგან სწორედ ისაა მაცხოვრის კვართის მფლობელი ქვეყანა და ერთ, ხოლო სივრცულად მცხეთას და მის შემოგარენს, როგორც კორნელი კეკელიძემ აღნიშნა, იერუსალიმისა და მისი წმინდა ადგილების სიმბოლურ სივრცეს პიეროტოპიული მნიშვნელობით წარმოგვიდგენს.

სომეხი მიაფორის პიროვნება კიდევ ორჯერ ისხსნიება ტექსტში, კერძოდ, იგი აღდგომის ეკლესიის სახახავად მისულ ეფექტურ დედაპაცს ეკითხება, ელენე დედოფალი გაქრისტიანდა თუ კვლავ „ბნელსა შინა არსა?“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 113). ამის შემდგომ წმ. ნინო სთხოვს მიაფორს, რომ წარავლინოს ელენე დედოფლის მოსაქცევად („მოქცევად ქართლისად“, 1963: შ. 113). ამ ფაქტსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართლის სულიერი მისიის განსაზღვრაში.

პ. კეკელიძე, განსხვავებით სხვა მეცნიერთა მოსაზრების-გან, რომ წმ. ნინოს სომქე (დვინელ) მიაფორთან სასწავლად მისვლა ქართლისა და სომხეთის ეკლესიების თავდაპირველი ურთიერთობის შეუგნებელი „გარდანაშთია“, სხვაგვარად უიქტობს, რაც დიდი მეცნიერის მეტად მნიშვნელოვან მიგნებად მიგვაჩნია. მისი აზრით, „ავტორს იმიტომ მიუჟვანია ნინო დვინელ მიაფორთან, რომ უკანასკნელმა თავისი პირით აღიაროს უპირატესობა ქართლისა სხვა ქვეყნის წინაშე: მას, ქართლს, ანუ, უფრო ზუსტად, „ჩრდილოთა მცხეთელთა“, როგორც სომქები მიაფორი ამბობს, დვთის განგებამ წილით არგუნა ისეთი დიდი სიწმინდე, როგორიცაა კუართი უფლისა, ის, კუართი, რომელსაც, ... ერთმანეთს ეცილებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები“ (კეკელიძე, 1956: 78-79).

„მოქცევად ქართლისად“ ქრონიკალური ნაწილი გვაწვდის ცნობებს ქართლისაკენ მიმავალი წმ. ნინოსა და მასთან ერთად მყოფი რიცხვიმებსა და გაიანეს შესახებ, რომლებიც სომხეთში ეწამნენ: „და ვთარცა წარმოივლტოდა რიცხვიმე ზღუად, გადანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა და გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა, და იგინი იმარტლნეს მუნ“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ქ. 84).

ჭელიშურ რედაქციაში ეს ამბავი მეორდება, მხოლოდ ბოლოს ერთვის წინადადება, რომელიც აკონკრეტებს მწამებლის ვინაობას და წამებულთა რაოდენობას - „იმარტლნეს მუნ თრდატ მეფისაგან - ორმეოცდა ცხრამ სული“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ქ. 84). გადარჩა მხოლოდ ერთი, სიმბოლურ არსში მყოფი მომავალი განმანათლებელი ქართლისა - დვთისმშობლის საყოფელში, მაყვლოვანში დამალული წმ. ნინო. „წმ. ნინოს ცხოვრებაშიც“ დაცულია ცნობა რიცხვიმეს, გაიანესა და მათ თანმხელებ პირთა წამების შესახებ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ აღნიშნულია წამების ადგილი - თრდატ მეფის ბადი და ასევე მოცემულია წამების თარიღი. წმ. ნინო მოგვითხოვბს - „რიცხვიმე დედოფალი და გაიანე დედა-მძუძღვი და ორმოც და ათი სული წარმოვემართენით თოუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თოუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ქ. 115).

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, წმ. ნინოს რიცხიმიანთა საზოგადოებაში მოხვედრა ქართლისა და სომხეთის ეკლესიების თავდაპირველი ურთიერთობის შეუგნებელი „გარდანაშთებია“, რაც პ. კეკელიძის მიერ უარყოფილია და მისი აზრით, აქ „შეუგნებელთან“ კი არ გააქვს საქმე, პირიქით - სავსებით შეგნებულთან, რადგან ავტორს „„სურს გვჩენოს, რომ სომხეთი ეკლესიის საფუძველი დაიდო იმ ადამიანთა ძვლებზე, რომელნიც ნინოს მიერ იყვნენ მოქცეული და მასთან ერთად მოევლინენ სომხეთს“ (კეკელიძე, 1956: 78), რაც რეალური ჩანს.

ტექსტში წმ. ნინოს სომხეთიდან წამოსვლის შემდგომ დასახელებულია გეოგრაფიული პუნქტი - ულოპორე, კერძოდ, სიკვდილს გადარჩენილმა წმ. ნინომ, მოისმინა რა დვოის ნება წარმართთა მოქცევის შესახებ, დატოვა იქაურობა: „...მოვედ ულოპორეთა, და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა. და თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა...“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 115). კონტექსტი მიუთითებს, რომ წმ. ნინო ჯავახეთის მთებზე გადასვლამდე რამდენიმე თვეს ულოპორეში ატარებს, რომელიც სავარაუდოდ, იგი სომხეთის ტერიტორიაზეა საძიებელი. ცნობას ულოპორეს ადგილმდებარების შესახებ ვერსად მივაგენით.

„წმ. ნინოს ცხოვრება“ კავკასიასა და სომხეთს სიბრძლით, კერძოდ, ცდომითა და უმეცრებით მოცულ (ქრისტიანულ ნათელს მოქლებულ) მხარედ მიიჩნევს. მეფის სამოთხეში დამკვიდრებული წმ. ნინო ამბობს: „და იყო ოდეს მოხედა დმერთმან წყალობით ქუეყანასა ამას დავიწყებულსა ჩრდილოსასა კავკასიათა, სომხითისა მთეულსა, რომლისა მთანი დაეფარებს ნისლსა და ველნი არმურსა ცოორისა და უმეცრებისასა...“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 124).

„მოქცევად ქართლისად“ დასასრულს, კერძოდ, მირიან მეფის „ანდერძში“, კიდევ ერთხელ მოიხსენიება კავკასია, ვითარცა კერპთაყვანისმცებლობის მხარე, კერძოდ, მირიან მეფე უბარებს თავის ძეს, რევს: „აქ სადაცა პპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცოურნი კერძნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდის. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: გ. 162). ჭელიშურ რედაქციაში ეს უკანასკნელი ფრაზა

ამგვარად იკითხება: „...რამეთუ ვიცი, ვითარმედ კავკასიათა შიგან არა დაილევიან არცა დასცხერებიან ბრძოლისაგან კაც-თავსა“ („მოქცევად ქართლისად“, 1963: ჭ. 163). ეს ეპიზოდიც, ზემოთ დამოწმებულ ეპიზოდებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აქ დამოწმებულია „კავკასია“, რომელიც XI საუკუნემდევლ ქართულ წყაროებში არ გვხვდება, ისიც საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, ლეონტი მროველისა და სხვათა თხზულებებში.

შედეგები და დასკვნები:

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ „მოქცევად ქართლისად“ ტექსტში, კავკასიის თემა, კავკასიური სივრცე და მასთან დაკავშირებული საკითხები მრავალმხრივად აისახა: პოლიტიკური, იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი, ენობრივი ფენომენის გათვალისწინებით;

2. „მოქცევად ქართლისად“ პირველი ქართული თხზულებაა, რომელშიც დამოწმებულია ტერმინი „კავკასია“, როგორც რეგიონის აღმნიშვნელი.

3. წმ. ნინოს დვაწლმა, რაც ასახულია „მოქცევად ქართლისად“ ტექსტში, საქართველოს გაქრისტიანების საქმეში მთელი კავკასიის მასშტაბით უდიდესი როლი შეასრულა, რადგან საქართველომ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდგბარე ქვეყანამ, დასავლური კულტურული ორიენტაცია აირჩია.

ლიტერატურა:

კეკელიძე, 1956: ქ. კეკელიძე, „მოქცევად ქართლისადს“ შედენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956.

„მოქცევად ქართლისად“, 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯდამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.